ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი 15 თებერვალი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის
მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი
მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გეგნცაძე, დავით აბულაძე, გია აბულაძე, გიორგი ტყემალაძე, დავით მახარობლიშვილი, გიორგი ჩაჩანიძე.

მოწვეულები: კ. შათირიშვილი, ლ. გონაშვილი, ბ. თოფურიძე, ე. მერაბიშვილი, გ. გიგაური, გ. ლაბაძე, ვ. მოსაშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, გ. ჭყონდიდელის ქ. №22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.024.119) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – კ. შათირიშვილი).

9. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, რკინიგზის ცენტრალურ ვაგზალში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის რეკონსტრუქციის მიზნით, (მიშენება-მოპირკეთება) (საკადასტრო კოდი: №01.16.01.005.088) ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების პირობის გაცემის შესახებ.

10. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, კოჯორში, სოფელ კიკეთში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №81.01.01.398) და მისი მიმდებარე ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შესახებ.

11. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში, შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.03.042.094, 01.14.03.042.082) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

12. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქ. №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.02.002.084) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

13. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ასურეთის I შესახვევი, გეგუთის №1/13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.14.005.001) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

14. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნაფეტვრებისკენ მიმავალი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.009.060) არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

15. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №66-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.018.004) არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე მანსარდის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

16. ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, წყნეთში, თამარ მეფის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.058.007) დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობებისა და სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

17. ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, აგლაძის ქ. №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირების შესახებ.

18. ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, გორგასლის ქ. №40-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის კორექტირების შესახებ.

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. ადგილზე დათვალიერებით ან ტოპოს წარმოდგენის შემთხვევაში, იქნება შესაძლებელი ფუნქციებს შორის დაზუსტდეს ზონა.
- არ არის მისაღები. საკითხის შესწავლა ადგილზე.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, კოჯორში, სოფელ კიკეთში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №81.01.01.398) და მისი მიმდებარე ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

11. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში, შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.03.042.094, 01.14.03.042.082) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ლ. აბდალაძე
დადგენილი პარამეტრები – კ2=1,5.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=3,0.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=3,2.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში, შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.03.042.094, 01.14.03.042.082) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,2.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 7, წინააღმდეგი: 1.

12. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქ. №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.02.002.084) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – რ. კიკაძე.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,7.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ხევძმარის ქ. №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.02.002.084) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პირობების გაცემისა და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს: კ1=0,7.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

13. ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ასურეთის I შესახვევი, გეგუთის №1/13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.14.005.001) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – დ. ჯობაძე.
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,6.

- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 18 იანვრის სხდომის №2 ოქმის №8 საკითხსა და ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 31 იანვრის №202 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე, კერძოდ; ნაცვლად "ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, გახოკიძის ქ. №34ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.19.004.040)" ჩაიწეროს - "ქ. თბილისში, ყაკე-საბურთალოს რაიონში, რაზმაძის ქ. №24-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №01.14.11.044.015)".

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 407

„27" თებერვალი 2012 წ.

ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, (საკადასტრო კოდი: №№01.14.03.042.094, 01.14.03.042.082), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2012 წლის 15 თებერვლის სხდომის №6 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირის №34-ში, შიდა კვარტალში, №101-ე სკოლის მოპირდაპირედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე, (საკადასტრო კოდი: №№01.14.03.042.094, 01.14.03.042.082), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,2.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს ა. ბოჭოიძეს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა